1913

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი

მცირე წლოვანთათვის






ივლისი.

№ 13

ეროვნული ბიბლიოთეკა 1879

# ნაკადული

წელიწადი მე-IX. № 13. ივლისი, 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირმები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი:

I—ირმები.—სურ. . . . . . . . 1

II—მამალი,—ლექსი ლადო გეგეჭკორისა . . . 3

III—თევზაობა,—ქ. ჯ—ისა. . . . . . 5

IV—ჩიტ-ბელურა,—ხალხური ზღაპარი, გალექსილი, (გაგრძელება) სტეფ. ძიმისტარიშვილისა (კორტოხა). . . 8

V—თედო და გოგი,—(დასასრული) თარგმანი გ. ლ—ისა. 15

VI—ოინი,—ი. აფხაზისა . . . . . . 19

VII—მკითხველის წერილები, წერილები რედაქ. მიმართ. 21

VIII—გასართობი:—გეოგრაფიული ამოცანა, რებუსი და რებუსის ახსნა . . . . . . 23

ტფილისი, ელექტ.-მბეჭდ. ა. ქერესელიძისა, გაზაევის შესახვევი № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მამალი.



გულადი ვარ და ყოყოჩა,
ყოყოჩა ვარ და გულადი,
და უჩემოდ არ მოხდება
რომ მოვიდეს განთიადი!

მე ვათენებ და ვაღამებ,
მე ვაღამებ და ვათენებ;
,,ყიყლიყოს" რომ დავიყვირებ,
სოფელს ფეხზე დავაყენებ!

საქათმეში მყოფ ქათმების
მეფე ვარ და მეთაური;
ყველას ჩემი ეშინია...
არ ჰყავთ ჩემებრ ბედაური!

თუ გავჯავრდი, ლხენა გქონდეთ,
რაც მე საქმე დავათიო:
რამდენს ბურმგლი დავაგლიჯო
და რამდენიც თმით ვათრიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა ქუდად არ მიმაჩნია
და ქვეყანა ქალამნადა...
სხვას არ ვემებ, ოღონდ თვითონ
მქონდეს კარგი ჭამის მადა!

ჭამა ვიცი მეტის-მეტი,
ორჯერ სხვაზე მეტი მინდა,—
რაც ბედელში ფეტვი იყო—
ჩემ მუცელში ჩაგვირგვინდა!

უსაქმობას ჩვეული ვარ,
მხა-მხარყულს ვეტრფი მარად;
როცა საჭმელს შევექცევი,
ვიღრიჯები მრავალ-გვარად!

ჭურ-მარილით ქებული ვარ,
მაგრამ მხოლოდ ერთ-ნაირად...
ჩემთან ერთად რომ სხვაც სჭამდეს,
ეს მოსდება ხოლმე მვირად!

სხვები შრომას ეწევიან,
კვერცხსა სდებენ, სჩეკენ წიწილს,—
მე-კი ამ დროს არხეინად
შევექცევი ხითხითს, სიცილს!

გულადი ვარ და ყოყოჩა,
ყოყოჩა ვარ და გულადი,
და უჩემოდ, დამიჯერეთ,
აღარ მოვა განთიად..!

ლადო გეგეჭკორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თევზაობა.



მშვენიერი ზაფხულის დღეა. მზე უხვად ჰფენს არე-მარეს თავის ცხოველ სხივებს. დიდრონ ხეებს სიხარულით გაუწვდიათ ცის კიდისკენ მძლავრი ტოტები და მთელი არსებით სტკბებიან მზის სითბოთი. მწვანე ფოთლები მხიარულად ჩურჩულებენ და მოუთმენლად ელიან მთის ცელქ ნიავს, რომელიც უამბობს ხან მხიარულს და ხან სევდით სავსე ამბებს.

ამ ხეების ჩრდილში მოჩუხჩუხებს მთის ანკარა მდინარე ბურსა; იმის ჩუხჩუხი თითქოს ბანს აძლევს ტყის ფოთლების შრიალს. ბურსაში ცხოვრობენ, სხვა თევზების გარდა, ლამაზი პატარა კალმახებიც; იმათ ლამაზ, ვერცხლივით ბჭყვრიალა ტანს ამშვენებს წითელი ხალები. ერთ ალაგას, ამ მდინარის პირს, ლაფანს ისე დაბლა დაუშვია ტოტები, რომ ფოთლები წყალში ცურაობს. ამ ხის ჩრდილში, დიდი ქვის ქვეშ, ცხოვრობს კალმახის ოჯახობა.

განთიადისას, ჩიტები რომ აიშლებიან და მთელი ბუნება იღვიძებს, ჩვენი კალმახებიც გამოსრიალდებიან ქვის ქვეშიდან და დედის ხელმძღვანელობით შეუდგებიან საჭმლის შოვნას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან ჭიაყელებს შეექცევიან, ხან კოლო-ბუზებს იჭერენ, [illegible]-ლებიც მრავლად დასტრიალებენ წყალს.

ასე ატარებენ მთელ დღეს. საღამოთი, როდესაც ტყის მდუმარებას ჭოტის ხმა-ღა არღვევს, ბრუნდებიან კალმახები შინ და ერთმანეთს მოუყვებიან მთელი დღის ამბავს. ასე მხიარულად ატარებენ სიცოცხლეს.

ერთ დილას, როდესაც მზე ახლად ამოსულიყო, მთელი ბუნება დასვენებული, განახლებული ძალ-ღონით ეწაფებოდა სიცოცხლეს, ყველა ცხოველი თავის საქმეზე მიეშურებოდა, რომ თავის სიცოცხლის ერთი წუთიც მუქთად არ გაეტარებინა. მოისმა შორს ხალხის ხმაურობა და ძახილი. ტყემ ხმა მისცა. ჩიტები აჟრიამულდნენ და მოუსვენრად ტოტიდან ტოტზე დაფრინავდნენ. პატარა, მარდი სვლიკები უფრო მარდად გასრიალდნენ. ტყე ახმაურდა. კალმახებმაც ამ ხმაურობაზე ყურები სცქვიტეს; დედა კალმახს გულმა ფანცქალი დაუწყო; დაუძახა შვილებს და უთხრა: — შვილებო ფრთხილად იყავით, რაღაც ხმაურობაა ტყეში, და ჩვენ სიფრთხილე გვმართებს; შეიძლება ჩვენ დასაჭერად მოვიდნენ. ისა სჯობია, რომ ქვას ამოეფარნეთ ან ჩინჩხვარში დაიმალნეთ; არ წაეტანოთ ჭიაყელებს, რადგან ხშირად ჭიაყელებს კაცი ნემს-კავზე ჩამოაცმევს ხოლმე, და თუ პირი წაავავლეთ, ნემს-კავი ყელში მოგვედება, და მაშინ მშვიდობით სიცოცხლევ!

ასე ეუბნებოდა დედა-კალმახი და თან ყურს უგდებდა, საიდან მოდიოდა ხმაურობა.

ამასობაში ხმაურობა ძლიერდებოდა: გაისმა ძაღლის ყეფა, თოფის სროლა, ქმაწვილების მხიარული სიცილი და ყიჟინი, მეურმის ხმა. მალე ხალხიც გამოჩნდა. ისინი იყურებოდნენ გარშემო: მოსწონდათ მწვანე ხეები, ცივი ანკარა წყალი, სტკბებოდნენ ტყის სიმშვენიერით. აი ურემიც გამოჩნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლითაც ხალხს ტომრით კირი მოეტანა. მალე ფეხთ დაიხადეს, ჩადგნენ წყალში და დაიწყეს მუშაობა. გადაუგდეს წყალი, თითქმის სულ დაწყვიტეს, რომ თევზი მშრალზე დარჩენილიყო, და რაც წყალი დარჩა, იმაში კირი ჩაყარეს, რომ თევზი მოწამლულიყო და ადვილად დაეჭირათ. საწყალი თევზები მხიარულად ველარ დასცურავდნენ, განაბულიყვნენ და სადაც-კი შეეძლოთ—დამალულიყვნენ. მალე დაინახეს, რომ წყალმა ძალიან იკლო; რაც დარჩა, ისიც თეთრ კირის ფრად შეიღება.

თევზებს ვერ გაეგოთ, რად გადმოსცვივდათ თვალის კაკლები, რად ეწოდათ ტანი, რად უგუბდებოდათ სული; არ იცოდნენ, რომ მალე სიცოცხლეს გამოესალმებოდნენ.

ხალხს-კი ამასობაში დაეკარწახებინა შარვალი, ჩამდგარიყო წყალში და იმის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც სხვილი კალმახები მოხვდებოდა ხელში.

ბევრი თევზი დაიჭირეს, მოხარშეს, ჭამეს; რასაც ველარ მოერივნენ—ძაღლებს გადაუყარეს, ფეხით გათელეს.

—რა კარგია ტყეში ყოფნა, თევზაობა,—ამბობდა ხალხი და შინ წასასვლელად ემზადებოდა. საღამომ მოატანა; ტყე გაჩუმებულიყო; შეშინებული ჩიტებიც სადღაც მიმალულიყვნენ; არაფერი ხმაურობა არსაიდან არ ისმოდა; თითქოს ბუნებას სცხვენოდა კაცის ასეთი უდიერი ქცევისა. მხოლოდ საღამოს ცელქმა ნიავმა წამოუქროლა, და როცა დაინახა გათელილი ბალახი, დამტვრეული ხის ტოტები, დახოცილი თევზები, გაექანა, რომ მთელ ტყეში მოეფინა ადამიანის გულ-ქვაობის ამბავი.

ე. ჰ.




(გაგრძელება).

## VI



კვლავ ღარიბი, კვლავ საწყალი,
კვლავ პირღია დარჩა გლეხი:
ათასგვარი ვაი-ვუი
თავს დაატყდა, როგორც მეხი.

გარს გაუდგა ყველა ერთად —
გარეშე და შინაური:
გუშინ იყო ბედნიერი,
დღეს-კი გახდა უბედური.

აღარა ჰყავს ერთი კაციც, —
ჰკითხოს რჩევა-დარიგება;
შემწედ მარტო ცოლ-შვილი ჰყავს:
არც იმას რა გაეგება.

ბოლოს თვითონ გონს მოვიდა,
გაემგზავრა ბეღურასთან;
გზაზე ისევ ძველებურად
შეიარა მეღორესთან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შესჩივლა მწუხარებით,
როგორ დაეკარგა ვირი,
როგორ გახდა უბედური;
განუახლდა ძველი ჭირი.

მელორემ რომ მოისმინა
გლეხის დარდი, მწუხარება,
შეებრალა იგი ბრიყვი
და კვლავ მისცა დარიგება:

,,გასწი, წადი ბელურასთან
და უამბე ყველაფერი:
ნურაფერს ნუ დაუმალავ,
გააცანი შენი მტერი.

შემდეგ სთხოვე მას კალათა,
მომიტანე იგი ჩქარა.
მტერი მოყვრად გაგიხდება
და იცხოვრებ ტკბილად, წყნარა.

გლეხი წარსდგა ბელურასთან
კრძალვითა და მორიდებით;
მიესალმა ძველებურად,
მოახსენა მოწიწებით:

,,ბრძენთა ბრძენო, დიდებულო,
უებარო, ღვთისა სწორო!
კვლავ მიყავი მოწყალება,
რომ მით საქმე გავასწორო.

ამბობენ, რომ კალათა გაქვს,
საოცარი რამ თვისების;

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმასა გთხოვ, რომ მაჩუქო,
დამავალო, რაც იქნების."

გლეხმა მეისვე ბეღურასგან
საარაკო რამ კალათა
ჩაიბარა, მოიტანა
მეღორესთან ის მსწრაფლათა.



მეღორემა კალათს უთხრა:
„აბა, ჩემო კალათაო,
საჭმელ-სასმელ მრავალგვარი
მოგვიტანე ჩქარათაო!"

კალათაცა დაფაცურდა,
შეასრულა მან ბრძანება—
უცბად სუფრა გაუშალა,
ზედ დაუწყო, რაც ენება.

მოილხინეს, შეზარხოშდნენ
გლეხიცა და მეღორეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხს ურჩია მეღორემა,
რომ კალათა არ გაეცა.

გლეხმა დიდის მოწიწებით
ის კალათა შინ წაიღო;
შეასრულა დარიგება,
მეღორესგან რაც მიიღო.

სახლი ჰქონდა, პურ-ღვინოცა,
სანოვაგე მრავალგვარი;
მისას იყო ულეველი
შემწვარი და გამომცხვარი.

ერთხელ გლეხმა დაჰპატიჟა
დიდკაცობა ერთობ ხშირი,
იქვე იყვნენ კარის კაცნი—
მდივანი და დიდ-ვეზირი.

გლეხმა თვისი საიდუმლო
ვერ დამალა ამათ წინა,
და მეფის უთხრა, თვის სიმდიდრე
თუ მან როგორ შეიძინა.

და ვეზირმაც ეშმაკურად
ჩვენ გლეხს უთხრა ერთობ ტკბილად:
რა იქნება, ჩვენი მეფეც
დაჰპატიჟო შენ სადილად.

გლეხმა მეფე მოიწვია,
გაუმართა მას მეჯლისი;
სამასპინძლო ბევრი ჰქონდა—
ძვირფას მეფის საკადრისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდივანმა და დიდ-ვეზირმა
მოახსენეს ხელმწიფესა:
,,თქვენ მასპინძელს კალათა აქვს—
სუფრას რომ შლის ყოველ დღესა;



ზედ დააწყობს სანოვაგეს,
მრავალგვარს და მრავალფერსა;
მაგისთანა დიდი განძი
უნდა ჰქონდეს უძლეველსა."

ხელმწიფემ ეს მოხსენება
დიდხანს აღარ დააყოვნა:
საქმისათვის რაცა სჯობდა,
მან საჩქაროდ მოიგონა.

როცა დასხდნენ პურის ჭამად,
საჭმელს ხელი აღარ მიჰყვეს:
დიდ-ვეზირმა და მდივანმა
მასპინძელი გააბრიყვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა-კი ნახა საწყალ გლეხმა,
რომ ხელმწიფე პურს არ სჭამდა,
მიხვდა—საქმე რაში იყო,
მაგრამ აბა რას იზამდა?

გლეხმა ქუდი მოიხადა,
დაიჩოქა მეფის წინა;
მეფემ უყო მოწყალება
და გლეხს სიტყვა მოუსმინა.

„უგუნურთ და გონიერთა
პატრონო და მბრძანებელო!
გთხოვთ, მიირთვათ აწ სადილი
და მით მონა მასახელო.

ეს კალათა ფას-ულები
თქვენი იყოს საჩუქარი:
დაივიწყე, ხელმწიფეო,
თუ რამე გაქვს გულში ჯავრი.“

ამას შემდეგ ხელმწიფემა,
როგორც იყო, გაიცინა;
მდივანმა და ვეზირებმა—
ყველამ ერთად მოილხინა.

როცა კარგა შექეიფდნენ,
ხელმწიფე და ვეზირები,
მხოლოდ მაშინ მასპინძლისა
გახდნენ კარგი მეგობრები.

ხელმწიფემა სასახლეში
გლეხს შეჰპირდა ხარჯი, ბინა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფარველად და ყურის მგდებლად
მან ვეზირი მიუჩინა.

მაგრამ მეფის მოწყალებამ
დიდხანს აღარ გაატანა:
დაჰპირდა და მოატყუა,
რაკი თავის გაიტანა.

**სტეფანე ძიმისტარიშვილი (კორტოხა).**

(შემდეგი იქნება).



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თედო და გოგი.

(დასასრული).

## IV

ახლა-კი დარწმუნდა ჩვენი გოგი, რომ ღარიბები მარტო წიგნებში-კი არა, არამედ ცხოვრებაშიაც ყოფილან; დაინახა, რომ ყოფილან ისეთი ბავშვები, რომლებიც თავგამოდებით ებრძვიან ყოველგვარ დაბრკოლებას, უწიგნოდ და ნახევარჯერ მშივრებიც სწავლობენ გაკვეთილებს და ბევრ მდიდარსაც სჯობნიან სწავლაში. თედო, რომელიც დღემდის მის თვალში მტირალა და მათხოვარა იყო, რომელსაც ის მედიდურად და ზიზღით უცქეროდა, დღეს მისთვის თითქმის გმირად გადაქცეულიყო.

— რომელი წიგნი არა გაქვს?— თანაგრძნობით ჰკითხა მან თედოს.

— თითქმის არც ერთი, მაგრამ ყველაზე უფრო არითმეტიკისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების უქონლობა მიშლის ხელს. არ ვიცი-რა ვქნა: ტირილის მეტი აღარა დამრჩენია-რა. თანაც ძალიან ძვირფასი წიგნებია: ორივე—მანეთი და თოთხმეტი შაური ღირს. ბიძა-ჩემს მველის ყიდვაც არ შეუძლია; სხვა-კი არავინა მყავს ქვეყანაზე. მეოთხე კლასამდე რომ მივაღწევდე როგორმე, მოწაფეებს ავიყვან და, მე რომ მეყოფა, იმდენ ფულს ყოველთვის ვიშოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ რა უნდა ჰქნა უწიგნოდ?—კიდევ დაეკითხა გოგი.

— არ ვიცი!—ნაღვლიანად მიუგო თედომ:—უბედურება ისაა, რომ ლამპართან მეცადინეობის ნებას არ მაძლევენ. ნავთს რომ არ მამადლიდნენ, რომელსამე მორეულ ამხანაგს გამოვართმევდი წიგნს და, შუაღამემდისაც რომ არ მომესწრო, გაკვეთილებს მაინც ვისწავლიდი. ამდენხანს დათიკო მაძლევდა წიგნებს, ახლა იმანაც უარი მითხრა—რატომ ამოცანა არ გადამაწერინეო. ის-კი არ იცის, თუ მეც სწორედ მაშინ მოვრჩი წერას, როცა გაკვეთილი გათავდა.

## V

გათავდა გაკვეთილები. სხვებთან ერთად გოგიც გაექანა სახლისაკენ. გზაში სულ თედოზე ფიქრობდა. აქამდე არ იცოდა, თუ იმისი მდგომარეობა ასეთი აუტანელი იყო. იგონებდა, როგორ დასცინოდა და ამცირებდა მას და სირცხვილისაგან წითლდებოდა.

მიდიოდა და თან ფიქრობდა, როგორ დახმარებოდა თედოს. სთხოვოს მამას ფული და უყიდოს წიგნები! მაგრამ მამამ ამ ორი დღის წინად მისცა ორი მანეთი და ვაი თუ უარი უთხრას? ბრაზობდა გოგი, რომ ის ორი მანეთი ისე ფუქსავატად დახარჯა. მისცეს თედოს თავისი წიგნები და სახლში სთქვას, ვითომ წიგნები დაჰკარგა? არა, არც ეს ივარგებს.

როცა გოგი სახლს მიუახლოვდა, ერთი რამ მოაგონდა: მამამ მის სახელობაზე ყულაბი იყიდა, რომელშიაც გოგის კარგა ბლომად ეგულებოდა ფული. ამ ფულით მას სავოტოგრაფიო აპარატი უნდა ეყიდნა. ყულაბიდან, თუ არ გატეხვით, ისე ფულის ამოღება შეუძლებელი იყო. ბევრი ფიქრის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ გოგიმ გადასწყვიტა ყულაბი გაეტეხა და შეგროვილი ფულით თედოსთვის საჭირო წიგნები ეყიდნა. რა ძალიან გაუხარდება თედოს? გარდა ამისა ვთხოვ დედიკოს, რომ მეორე საუზმეც მომიმზადოს ხოლმე. ავუხსნი, თუ რისთვის მინდა, და უარს არ მეტყვის. მაშინ საბრალო თედოც არ იქნება იძულებული თითო ლუკმობით ითხოვოს და იმდენი დაცინვა-დამცირებაც აღარ შეხვდება. საუზმეს ისე გადავსცემ, რომ ვერავინ შემამჩნიოს...

## VI

ყულაბში აღმოჩნდა მანეთი და ცხრამეტი შაური, თითქმის მეტი, ვინემ ორი წიგნის საყიდლად იყო საჭირო.

დილას მხიარული გოგი შეცუნცულდა წიგნის მაღაზიაში, იყიდა წიგნები და, მივიდა თუ არა კლასში, ჩუმად გადასცა წიგნები თედოს.

— რა არის ესა?—გაიკვირვა თედომ,—მაგრამ, გაშალა თუ არა ქაღალდი, რომელშიაც წიგნები იყო გახვეული, სიხარულისაგან შეხტა.

— ნუ თუ ეს ჩემთვის არის?—მოუთმენლად ჰკითხა მან გოგის.

— შენთვის არის!—ღიმილით მიუგო გოგიმ.

— გმადლობ... გმადლობ... დიდად გმადლობ,—წამოიძახა აღელვებულმა თედომ:—ღმერთო ჩემო, რა კეთილი ხარ, გოგი, რა კეთილი!.. მერე კიდევ სულ ახალი წიგნებია... სულ. ამას შემდეგ აღარ მივიღებ ცუდ ნიშანს გეოგრაფიაში... რა მოხარული ვარ, რა მოხარული...

გოგი ცოტა არ იყოს გაკვირვებული უცქეროდა აღტაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულ თედოს: მას ვერ წარმოედგინა, რომ ორი წიგნი[illegible] ვით ასე გაახარებდა ამხანაგს.

თედო-კი ფრთხილად ფურცლავდა ახალ წიგნებს და თვალებ-გაბრწყინვებული იმეორებდა:

— როგორ მიხარიან, როგორ... რა კეთილი ხარ, ჩემო გოგი!..

გ. ლ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# Ⴒ Ⴈ Ⴌ Ⴈ.

ჩვენი სახლის მახლობლად, გორაკზე, მელას სორო გამოეთხარა. დავაპირეთ სანადიროდ წასვლა. მეორე დღეს, დილით, გავემზადენით; თან პატარა ბიჭს წამოვაღებინეთ ერთი ბღუჯი თივა. მელიის სოროს საზოგადოდ რამდენიმე გამოსასვლელი აქვს. მონადირე იპოვის ყველა გამოსასვლელს, ჩაჩურთავს თივას, მოუკიდებს ცეცხლს; ერთ გამოსასვლელთან-კი თითონ დადგება. ბოლისაგან შეწუხებული მელა გამოვარდება გარედ—მონადირესაც, რასაკვირველია, ეს უნდა... ჩვენც თივა სწორედ ამ მიზნით წავიღეთ თან.

მივედით გორაკზე, ვიპოვეთ სოროს გამოსასვლელები; ერთთან დავდექი მე; სხვებში თივა ჩავდეთ და მოუკიდეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეცხლი. კარგა ხანი გავიდა; თივაც დაიწვა, მელა-კი [illegible] იყო. „დავათვალიერებ გამოსასვლელ ხვრელებს“ — გავიფიქრე გულში და გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი. ამ დროს უცებ მომესმა საშინელი ყვირილი. მივიხედე, და რას ვხედავ!—ბიჭი ყირა-ყირა გადადის თავქვე; ცოტა მოშორებით გარბის მელა.

თურმე ჩვენი ტეტია ბიჭი ზედ სოროს ერთ-ერთ გამოსასვლელზე დამჯდარა. გამხადებულ მელას უეცრად ეკრა თავი და ბიჭი ყირა-ყირა გადაეგორებინა; თითონ-კი გარბოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

ვესროლე თოფი, მაგრამ ამაოდ. ოინიც დაგვმართა იმ ოინბაზმა და ხელიდანაც გაგვისხლტა.

ი. აფხაზი.






# წერილები რედაქციის მიმართ.

**ქ-ნო რედაქტორო!**

იმის შემდეგ, რაც „დედა-ენიდან“ გავიგეთ ფრინველების სარგებლობა, ერთგული დამცველნი ვართ მათი და ვიქნებით. პირობას უსათუოდ შევასრულებთ სიკვდილამდის. გთხოვთ კეთილ ინებოთ და ჩვენც, ამ პირობის ხელის მომწერნი, ჩაგვწეროთ ფრინველთა დამცველ საზოგადოების წევრებად.

სოფელ ფხვენისის სამრევლო სკოლის მეორე და მესამე განყოფილების მოწაფენი:

II განყოფილებიდან.

1) მარიამ ხუციშვილი. 2) მარგალიტა მონასელიძე. 3) ანნა ომაძე. 4) ეთერა ციცქიშვილი. 5) ნატალია წრიალაშვილი. 6) დარო თუმნიანაშვილი. 7) ტასო ღვინიაშვილი. 8) ქეთო მონასელიძე. 9) იოსებ ჯაფიაშვილი. 10) შაქრო ჯაფიაშვილი. 11) ილია პეტრიაშვილი.

III განყოფილებიდან

1) ქრისტესია წურიშვილი. 2) სიმონ ბიბილური. 3) ტასო ბოჭორიშვილი. 4) ელენე ხუციშვილი. 5) ანნა ევაძე. 6) ნინო ვარძიელაშვილი. 7) ელენე ჯაფიაშვილი. 8) ტერეზია ევაძე. 9) თეკლე ღოღაძე. 10) თამარ პატარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ჩვენც ჩაგვწეროთ ფრინველთა დამცველ საზოგადოების წევრებად და ვეცდებით ყველა პირობების პირნათლად შესრულებას. ოთხ მაისს ჩვენს ოთახში ღია ფანჯრით ჩიტი შემოფრინდა, გამოფრენა-კი ველარ მოახერხა. ჩვენ დავიჭირეთ იგი, მივეცით ჩვენ ხუთი წლის ძმია მოთიკოს, გავიყვანეთ გარედ და გავაშვებინეთ.

თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის მოწაფენი: მეორე კლასისა — **გიგლა**, და უფროს განყოფილებისა — **არჩილ გარსიაშვილები** და მსახური მათის სახლისა **ილიკო ქალიაშვილი.**

---

ქ-ნო რედაქტორო!

მეც წავიკითხე თქვენი ჟურნალის მე-6 ნომერში წერილი რედაქციის მიმართ. დიდის სიხარულით ვეგებები „მაისის კავშირის“ კეთილ მიზანს და უმორჩილესად გთხოვთ მეც ჩამწეროთ ფრინველთა დამცველ საზოგადოების წევრად. ძალიან მიყვარს ფრინველები და ყოველთვის მათი ფხიზელი დამცველი ვიქნები.

**ბათუმის გიმნაზ. მეორე კლ. მოწაფე შალვა ინასარიძე.**

---

ეროვნული ბიბლიოთეკა




## გეოგრაფიული ამოცანა

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის-მიერ).

1. მტკვრის ტოტი—6 ასოსაგან.
2. მდინარე იმერეთში—5 ასოსაგან.
3. მდინარე ქართლში—7 ასოსაგან.
4. მდინარე კახეთში—7 ასოსაგან.
5. სოფელი ძველი ტაძრით შესანიშნავი—6 ასოსაგან.
6. მდინარე კახეთში—4 ასოსაგან.

ამ სიტყვების პირველ ასოებისაგან შეადგინეთ შესანიშნავი ძველი ციხე-ქალაქი კერპით.



**უცნაური თაიგული.**

აბა გამოიცანით, რით არის ეს თაიგული შესანიშნავი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რებუსი.

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის-მიერ).




**მე-12 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა**

პური ჭამე და წყალი სვი, გულზე მოგივა ხალისი.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნაკადული“-ს რედაქციაში

და

## წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

1) **ტომის თავგადასავალი,**—თხზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი. . . . . . 50 კ.

2) **რას გვიამბობს ოთახი,**—თხზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი. . . . . . 20 კ.

3) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**—ფასი. . . 1 მ. 20 კ.

4) **სკრუჯი და მარლეი,**—საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . 25 კ.

5) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები** ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი . . . . . . . . 30 კ.

6) **ბავშვობა და სიყრმე,**—მოთხრობა ლევ ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . 60 კ.

7) **ორი მხატვარი,**—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე,** დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.

9) **შობა,** მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . . . . . . . 5 კ.

10) **ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი,** ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაჭავარიანისა, ფასი . . . . . . . . . 5 კ.

11) **დათო,** — ირ. ევდოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი . . . 5 კ.

12) **მოთხრობები,**—ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა . . . . . . . . . . . 5 კ.

13) **იგავ-არაკნი,** — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . . . . 75 კ.

# 1913 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ ჩელიჩადი მეცხრე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები დ პედაგოგები.

## წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

**1913** წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა **საჩუქრად მიიღებენ ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს რომანს ზანგთ განთავისუფლების დროიდან, „ბიძია თომას ქოხი“**-ს სრულ თარგმანს. **წიგნში იქნება 80-ზე მეტი სურათი და ჩართული იქნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია.**

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5** მ. ნახევარ წლით—**3** მან., ცალკ-ცალკე მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი**—**3** მან., მოზრდილთათვის **12 წიგნი**—**3** მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

## ხელის მოწერა შეიძლება

**ტფილისში**—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინ. პრ. № 8. Редакція „Накадули,“ Головинскій пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთაკრიშვილთან. **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან და ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—თეოფილე განდელაკთან. **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლუკა იმნაძესთან. **თელავში**—ვასო ჰაატაშვილთან. **ახალ-ციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან, ნინო გელაშვილთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან. **განჯაში**—ბ. ამბოქაძესთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **სიღნაღში**—ნ. ახმეტელაშვილთან. **ყარსში**—ივ. საათაშვილთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოხების-ძე თუმანიშვილი.**